ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი #54

22 იანვარი, 2021 წელი

15:00 საათი

(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

ა/წ 22 იანვარს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. მიხეილ მესხი;

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების 2020 წლის ანგარიში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების 2020 წლის ანგარიში.

დაავადებათა სკრინინგი (პროგრამული კოდი 06 01 02)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 03	დაავადებათა სკრინინგი	1 862.3	1 862.1	99.99%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, ქ. თბილისში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც სსიპ – ,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი) უტარდებათ შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები:

ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში;

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში;

პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში;

კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის;

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოკვლევები 25-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში

აღნიშნული ღონისძიებების მიზნით ტარდება სხვადასხვა სახის კვლევები:

- **ძუძუს კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს:**

✓ მამოგრაფიულ გამოკვლევას, 2 პროექციაში (2 რადიოლოგის მიერ ერთმანეთის დამოუკიდებლად წაკითხვით);

✓ პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს ულტრაბგერით გამოკვლევას და ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვას;

✓ საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას.

- **საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს:**
- ✓ გინეკოლოგის კონსულტაციას და პაპ–ტესტის (PAP–ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით;
- ✓ პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლპოსკოპიურ სკრინინგს;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, კოლპოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ კვლევას.
- **პროსტატის კიბოს მართვა:**
- ✓ სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის გამოკვლევა.

- **კოლორექტალური კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს:**
- ✓ ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT) ჩატარებას;
- ✓ პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლონოსკოპიას;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, კოლონოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ კვლევას.

- **ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა, რომელიც მოიცავს:**
- ✓ ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევას;
- ✓ პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას;
- ✓ ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პროცესის მეთვალყურეობას ენდოკრინოლოგის მიერ.

დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის №58-61 (ვებგვერდი, 11.06.2020 წ.) დადგენილების შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები, (ვრცელდება მხოლოდ 2020 წლის 1 ივნისიდან დაწყებულ შემთხვევებზე):

- ქვეპროგრამით განსაზღვრული ლაბორატორიული კვლევები (ძუძუს ბიოფსიისას აღებული მასალის ციტოლოგიური კვლევა, pap - ნაცხის ციტოლოგიური კვლევა, კოლპოსკოპიისას აღებული ბიოფსიური მასალის და კოლონოსკოპიისას აღებული ბიოფსიური მასალის ჰისტოლოგიური კვლევა) ხორციელდება ცენტრალიზებულად, ქვეპროგრამის ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლების მიერ.
- პროსტატის კიბოს სკრინინგის ნაცვლად, შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიის მამაკაცებში ხორციელდება პროსტატის კიბოს მართვა - პროგრამით განსაზღვრული კვლევა ტარდება მხოლოდ სპეციალისტის მიმართვის საფუძველზე, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებზე.
- ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის, პროსტატის კიბოს მართვისა და კოლორეტქული კიბოს სკრინინგის ქვეკომპონენტების ფარგლებში შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა.
- შეიცვალა ერთეულის ღირებულებები (დანართი N2)

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა

(პროგრამული კოდი 06 01 03)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 03	გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა	572,9	530,4	92.6%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა :

- ✓ გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა;
- ✓ ინფექციების გავრცელების შეზღუდვის ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საწიროების შემთხვევაში დეზინფექცია-დეზინსექცია;
- ✓ იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა;
- ✓ სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობა, გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

ქ. თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2020 წლის იანვარ-დეკემბრის აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის შედეგად საანგარიშო პერიოდში აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფაგრლებში აღირიცხა **ცხრილი N1**-ში მითითებული ნოზოლოგიები:

ცხრილი N1

ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა
მწვავედუნედამბლა/მწვავეპოლიომიელიტი/გიენ-ბარეს სინდრომი	2	ლეიშმანიოზი	19
წითელა	9	ექინოკოკოზი	35
წითურა	0	ფასციოლოზი	16
ყივანახველა	16	ამებიაზი	2
ყბაყურა	2	ტრიქინელოზი	2
ტუბერკულოზი	377	სიფილისი	360
ბაქტ.მენინგიტი	13	თანდაყოლილი სიფილისი	0
ტუბ.მენინგიტი	8	სიფილისი ორსულებში	21
მენინგიტი გამოწვეული hemophilusinfluenzaB	0	გონორეა	77
ვირ.მენინგიტი	1	ქლამიდიოზი	295
მენინგოკოკცემია	4	საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	30
N. meningitides-ით გამოწვეული მენინგიტი	0	ნოზოკომიური პნევმონია	165
streptococcuspneumonae –თ გამოწვეული მენინგიტი	0	ნოზოკომიური ბაქტერიემია, სეფსისი	35
streptococcuspneumonae –თ გამოწვეული ინფექცია	0	ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	26
ენტეროჰემორაგიულიეშერიხიოზი	22	15-49 წ.ქალთასიკვდ.	29
სალმონელოზი	121	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილი	47
შიგელოზი	385	სხვა ვირუსული ჰეპატიტები	6
ბოტულიზმი	4	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A	0
სავ.ინფ.წარ.დიარეა	1217	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	18
სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	828	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	157
სოკოთი მოშხამვა	14	ჰეპატიტი C	293
ჯილეხი	3	მწვავე ჰეპატიტი E	0
ბრუცელოზი	5	სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	1
აივ –შიდსზე ტესტირებული	68843	ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება	1
მ. შ. აივ– შიდსზე ტესტირებული ორსულები	7920	ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექცია	3
ლაიმის დაავადება	111	დენგეს ცხელება	0
ტულარემია	1	Q ცხელება	3
ჩუტყვავილა	635	ლეპტოსპიროზი	25
ქუნთრუშა	100	აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	0
ცოფისრისკის მქონე ექსპოზიცია	13677	შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	5

2019-2020 წლის გრიპის სეზონი დასრულდა 2020 წლის 20 მაისს, ხოლო **2020-2021** წლების გრიპის აქტიური სეზონი დაიწყო **2020 წლის 1 ოქტომბრიდან** (მე-40 კვირა) და მთავრდება **2021 წლის 23 მაისს** (მე-20კვირა). 01.10.2020-31.12.2020 პერიოდში ქ. თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში დარეგისტრირდა ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა-სულ: 131 621, მ.შ. **გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებების (ILI) - 8 691** ამბულატორიული შემთხვევა; ასევე, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების რაოდენობა სულ-15444, მ.შ. **მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციის (SARI) – 889** ჰოსპიტალური შემთხვევა.

2020 წლის განმავლობაში კორონავირუსის ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობდა ყველა გადაცემული შესაძლო შემთხვევის ეპიდზედამხედველობა, კერძოდ უცხო ქვეყნიდან შემოსულ, თვითიზოლაციაში მყოფ და ცენტრში გადმოცემულ კოვიდ დადებით პაციენტებთან კონტაქტში მყოფ პირებზე. შესაბამისი გრძანების და პროტოკოლის მიხედვით ცენტრის გადამზადებული ეპიდემიოლოგები ახორციელებენ რისკის კონტიგენტში ცხვირ-ხახის ნაცხის აღებას და სათანადოდ ტრანსპორტირებას შესაბამის ლაბორატორიამდე. ასევე გატესტილია ცენტრის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი პროტოკოლით სარისკო ჯგუფში (მოხუცთა თავშესაფარი, შ.შ.მ პირები) 534 რისკის კონტიგენტი, უარყოფითი პასუხით. მიმდინარეობს ეპიდზედამხედველობაში მყოფი პირებისათვის დანართი N2 მიხედვით (ბიულეტენის ტოლფასი ცნობის გაცემის საფუძველი) შევსება და გადაგზავნა ჯანდაცვის სამინისტროში შესაბამისი გრძანებისა და პროტოკოლის მოთხოვნით. ასევე პროგრამის ფარგლებში მონაწილე ყველა სამედიცინო დაწესებულებაში ხდება PCR კვლევისთვის საჭირო კრიო სინჯარების, აპლიკატორების და სწრაფი ანტიგენტესტების განაწილება. მიმდინარეობს ჩატარებული სწრაფი ტესტების ყოველდღიური ანგარიშგება. ასევე მიმდინარეობს სეზონური გრიპის ვაქცინაციისათვის საჭირო ასაცრელი მასალის განაწილება და ყოველდღიური ანგარიშგება აცრების ჩატარების შესახებ დაწესებულებების მიხედვით. ზემოაღნიშნულ თვეებში მიუხედავად წითელას შემთხვევების მკვეთრი კლებისა, გრძელდებსა აქტიური ეპიდზედამხედველობა და 40 წლამდე ასაკის მოსახლეობაში პროფესიული დატვირთვის შესაბამისად სავალდებულო აცრებში ჩართვის რეკომენდაციების გაცემა, ასევე გრძელდება წითელაზე აცრაგამოტოვებულ პირთა პროფილაქტიკურ აცრებში ჩართვის სამუშაოები. 2020 წლის იანვრის თვეში წითელას შემთხვევა არ დარეგისტრირებულა, ხოლო თებერვალ-მაისში იყო დადასტურებული რამდენიმე შემთხვევა. **გრძელდება წითელას ეპიდშვენებით აცრების ეპიდზედამხედველობა,** ასევე გრძელდება გოგონებში ადამიანის პაპილომავირუსის (აპვ) საწინააღმდეგო აცრები. კერძოდ იცრებიან 10-11-12 წლის გოგონები. მიმდინარე წელს აიცრა V1-196 გოგონა, V2- 78 გოგონა. ასევე COVID19-თან ბრძოლის პარალელურად გრძელდება გეგმიური პროფ. აცრების განხორციელება. გრძელდება C ჰეპატიტის სკრინინგკვლევებისათვის და ტანდემტესტირებისათვის საჭირო ტესტების (C ჰეპატიტი, შიდსი) მიღება-განაწილება სამედიცინო დაწესებულებებში და შესაბამის პროგრამაში მონაწილე არასამთვრობო ორგანიზაციებში. ასევე გრძელდება ინტეგრირებული სკრინინგის ფარგლებში დაწესებულებების მუშაობა. 2020 წლის მარტიდან საზოგადოებრივი ობიექტების შეჩერების გამო ვერ ტარდება მათი შემოწმება. ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების თანახმად კორონავირუსზე SARS-COV-2-ზე სავალდებულო ტესტირებს დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ ჯგუფებში ჩატარდა ტესტირება ლაბ. კვლევები.2020 წელს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით საგანმანათლებლო სამუშაოები ჩატარდა **ვაკე-საბურთალოს** რაიონში სილამაზის სალონ

„პერლაში“ ჩატარდა ლექცია-საუბრები თემაზე არტერიული ჰიპერტენზია და მისი პროფილაქტიკა. **ისანი-სამგორის** სილამაზის სალონში „გიო“ ჩატარდა ლექცია თემაზე ტყვიით მოწამვლის შესახებ. **დიდგორის რაიონის** ჯგუფმა საქმიო ამბულატორიის ტაბახმელას ფილიალში ჩაატარა ლექცია საუბრები თემაზე სარძეე ჯირკვლის კიბო და მისი პროფილაქტიკა. **დიდუბე-ჩუღურეთის** რაიონის, აბასთუმნის 8 მდებარე სილამაზის სალონში საუბრები თემაზე „ვილსონის დაავადება“ **მთაწმინდა-კრწანისის** რაიონში რეგიონალურმა ჯგუფმა ჩაატარა ლექცია სილამაზის სალონში „მარი“ ჭარბი წონა რისკფაქტორები და **პრევენციაგლდანი ნაძალადევის-** რაიონში პოლიკლინიკა შპს „დეა“-ში ჩატარდა ლექცია თემაზე ჭარბი წონა, რისკფაქტორები და პრევენცია.

დასახული შუალედური შედეგები: ავადობის პრევენცია, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა/პრევენცია, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხარდაჭერა.

მიღწეული შუალედური შედეგები: გადამდებ დააავდებათა ეპიდ.ზედამხედველობა და კონტროლი; დაავადებათა პრევენცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა, საშუალოდ თვეში:

1. სამკურნალოდ რეფერირებული შემთხვევების ხვედრითი წილი (%);
2. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინებით იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი;
3. დაწესებულებების რაოდენობა, სადაც ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელდა მონიტორინგის ღონისძიებები.

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2020 წელს, სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითიწილი იყო 80 %	2021 წელს სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი 77.6 %-მდე ივარაუდება			

გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 05)

როგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 05	გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება	956,3	717,6	75,03%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს **სამკურნალო** მედიკამენტების **დაფინანსებას** შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) „ოკრელიზუმაბი“ - საწყისი დოზა 600 მგ შეყვანილ უნდა იქნას ორ ინფუზიად: 300 მგ - პირველ დღეს, 300 მგ - ორი კვირის შემდეგ, შემდგომი ინფუზიები ყოველ 6 თვეში ერთხელ დოზით - 600 მგ;

ბ)„ფინგოლიმოდი“ – 0,5 მგ ერთი აბი ერთხელ დღეში.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები: ა) რომელთაც დიაგნოზი დასმული აქვთ მაკდონალდის კრიტერიუმების შესაბამისად და კურკეს უნარშეზღუდულობის სკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მიენიჭათ; ბ) რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში აქვთ რეგისტრაცია, მათ შორის, ის პირები, რომლებსაც აღნიშნული 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია (თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად, პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში); გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი მქონე მოქალაქეები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნტით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს).

დასახული შუალედური შედეგები: გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებით „ფინგოლიმოდი“ და „ოკრელიზუმაბი“ პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა,, დაგეგმილი იყო 136 პაციენტის დაფინანსება.

მიღწეული შუალედური შედეგები: დაფიანსდა 75 პაციენტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა:

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	წლის განმავლობაში დაფინანსდა 75 პაციენტი	2020 წელს დაგეგმილი იყო 136 პაციენტის დაფინანსება	2020 წელს დაფიანსდა 75 პაციენტი	45%	Covid-19-ის პანდეპიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო დაბალი მომართვიანობა

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 06)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 06	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა	5 210,0	4 792,9	92,0%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

პროგრამით განსაზღვრულ ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 და F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომელთაგან,

ა) იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც უფიქსირდებათ საქართველოს რომელიმე სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, აუცილებელია ჰქონდეთ ბოლო 3 წლის უწყვეტი რეგისტრაცია ქ.თბილისში, ხოლო

ბ) იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც არ უფიქსირდებათ საქართველოს სხვა რომელიმე მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, აუცილებელია დაწესებულებისთვის განცხადებით მიმართვის პერიოდისთვის ჰქონდეს ქ.თბილისში რეგისტრაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

- მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსი, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა).
- ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობა, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში შეადგენს:

ა) 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 14 სეანსისა;

ბ) 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 12 სეანსისა;

გ) 12-17 წლის ასაკის ჩათვლით-მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე

- ხოლო 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, სეანსების ოდენობის არანაკლებ ¾.

- სეანსების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს.
- ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1230 ბენეფიციარი.

- ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი, რომლის ღირებულება შეადგენს 20 ლარს და ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.

დასახული შუალედური შედეგები: (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ოჯახის მხარდაჭერა. დაგეგმილი იყო 1000 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა, საშუალოდ თვეში

მიღწეული შუალედური შედეგები: მომსახურება გაეწია 1230 ბავშვს, საშუალოდ თვეში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა, საშუალოდ თვეში:

№	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მომსახურება გაეწია 1228 ბავშვს, საშუალოდ თვეში	2020 წელს დაგეგმილი იყო 1000 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა, საშუალოდ თვეში	2020 წელს მომსახურება გაეწია 1230 ბავშვს, საშუალოდ თვეში	23% გადაჭარბებით	გაიზარდა ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობის ლიმიტი 1000-დან 1230-მდე. ბიუჯეტი გაიზარდა 700 ათასი ლარით.

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 07)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 07	ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა	3 720,0	3 693,5	99,29%	

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს შემდეგი სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას:

ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი ან ჰორმონუარყოფითი და დადებითი ნოდალური სტატუსის შემთხვევაში-ტრასტუზუმაბს+პერტუზუმაბი;

ბ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი,

გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში

რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს – 80%-ით, გარდა „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრასტუზუმაბის დაფინანსების შემთხვევისა, როდესაც მედიკამენტი-ტრასტუზუმაბი ფინანსდება ღირებულების – 50%-ის მოცულობით (ასეთ შემთხვევაში, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ს).

დასახული შუალედური შედეგები: HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიებზე განკურნება; R2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე, პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა,, მეტასტაზების გაჩენის პრევენცია. დაგეგმილი იყო 144 პაციენტის დაფინანსება.

მიღწეული შუალედური შედეგები: დაფიანსდა 158 პაციენტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა:

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	წლის განმავლობაში დაფინანსდა 144 პაციენტი	2020 წელს დაგეგმილი იყო 144 პაციენტის დაფინანსება	2020 წელს დაფიანსდა 158 პაციენტი	10% გადაჭარბებით	დაფიქსირდა მოთხოვნის ზრდა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 220 ათასი ლარით

ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 13)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 13	ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა	9 450,0	9 374,3	99.2%	

ქვეპროგრამა ითვალისწინებს

ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას:

- ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები.
- მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია.
- ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლიოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პაციენტის კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა.
- ღვიძლის ტრანსპლანტაცია.

2020 წლის იანვარი-დეკემბრის თვეებში აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ჯამში დაფინანსდა **191** შემთხვევა. აქედან ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტში **185** შემთხვევა, ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტში **6** შემთხვევა.

მომსახურების დასახელება	რაოდენობა	თანხა
წინასატრანსპლანტაციო კვლევა	64	625 495
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია	56	1 120 000
აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია	51	4 845 000
ალოგენური ტრანსპლანტაცია	13	2 158 803
ჰაპლოიდენტუერი ტრანსპლანტაცია	1	205 000
ღვიძლის ტრანსპლანტაცია	6	420 000
სულ	**191**	**9 374 297**

2020 წლის იანვარი-დეკემბრის თვეებში აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ორივე კომპონენტში დაფინანსდა **191** შემთხვევა, რომლის ჯამურმა თანხამ შეადგინა **9,374,297** ლარი.

დასახული შუალედური შედეგი: ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას. დაგეგმილი იყო 92 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული შუალედური შედეგები: დაფინანსდა 191 ბენეფიციარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები - პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა:

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	დაფინანსდა 191 ბენეფიციარი	2020 წელს დაგეგმილი იყო 92 ბენეფიციარის დაფინანსება	2020 წელს დაფინანსდა 191 ბენეფიციარი	108% გადაჭარბებით	დაფიქსირდა მოთხოვნის ზრდა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 3 450 ათასი ლარით

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 08)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 08	ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება	600.0	587,0	97,8%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

- მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში, რომელიც მოიცავს:
  - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მულტისისტემური ინტერვენციის განხორციელებას ქვეპროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას, კრიზისული ინტერვენციის ცენტრში და მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ პირის საცხოვრებელ ადგილზე ან/და სასწავლო დაწესებულებაში;
  - დღის სტაციონარში გეგმურ ამბულატორიულ კონსულტაციებს;
  - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პირის შეფასებას, ინტერვენციის ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას, იმპლემენტაციას და მონიტორინგს;
  - ინტერვენციის ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ინდივიდუალური თერაპიების განხორციელებას (სისტემური ოჯახური კრიზისული თერაპია, კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია და

ბავშვთა და მოზარდთა ასაკს მორგებული სხვადასხვა ფსიქოთერაპიული შეხვედრები (ხელოვნებით თერაპია, თამაშის თერაპია და ა. შ.));

- საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ფსიქიატრიულ კონსულტაციებს;
- მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ მოსარგებლის მონიტორინგს ბინაზე ან/და სასწავლო დაწესებულებაში ქვეპროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას

- აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში, რომელიც მოიცავს:
  - მულტიდისციპლინური მობილური გუნდის მიერ მოსარგებლეთა შეფასებასა და ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას;
  - რეგულარულ ვიზიტებს (არანაკლებ 6 ვიზიტი თვეში) საცხოვრებელ ადგილზე, 24 საათიან სატელეფონო კონსულტაციას;
  - მოსარგებლეთა სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგს;
  - მოსარგებლისა და ოჯახის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ფსიქოგანათლებას;
  - ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში პაციენტის სტაციონირების უზრუნველყოფას;
  - 24 საათის განმავლობაში სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
  - საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის წევრის - ექიმი-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

დასახული შუალედური შედეგები: ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა 182 ბენეფიციარისათვის, საშუალოდ თვეში.

მიღწეული შუალედური შედეგები: მომსახურება გაეწია 170 ბენეფიციარს, საშუალოდ თვეში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა, საშუალოდ თვეში:

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	დახმარება გაეწია 182 ბენეფიციარს, საშუალოდ თვეში	2020 წელს დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა 182 ბენეფიციარისათვის, საშუალოდ თვეში	2020 მომსახურება გაეწია 170 ბენეფიციარს, საშუალოდ თვეში	7%	ნაკლები მომართვიანობა

კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01)

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ თბილისში 200 001-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახებისათვის/აბონენტებისთვის, მონაცემთა ერთიან ბაზაში მითითებულ აბონენტის ნომერზე, რომელიც კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით წარმოადგენდა სამომხმარებლო სექტორის აბონენტს, განხორციელდა ელექტროენერგიის გადასახადზე, წყლის და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდიის დარიცხვა. სუბსიდიის გაცემა განხორციელდა წლის მანძილზე 5-ჯერადად, კერძოდ: იანვარში, თებერვლაში, მარტში, აპრილში და დეკემბერში.

დასახული შუალური შედეგები - ელ-ენერგიის, დასუფთავების, წყალის კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. დაგეგმილი იყო 40 075 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)

მიღწეული შუალედური შედეგები - განხორციელდა 32 604 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები - ოჯახების რაოდენობა, საშუალოდ თვეში:

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს განხორციელდა 46191 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)	2020 წელს იგეგმება 40 075-მდე ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)	2020 წელს განხორციელდა 32604 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)	18.6%	ცდომილება გამოწვეულია COVID19 პანდემიის პირობებში მთავრობის მიერ განხორციელებულმა სუბსიდიამ (200 კვტ/სთ-ზე ქვემოთ მოხმარების მქონე ოჯახებისათვის)

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02)

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან

ოჯახებს 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე. საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია საშუალოდ 4861 ოჯახს თვეში, საშუალოდ 16870 ბავშვზე.

დასახული შუალური შედეგები - სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა. დახმარების გაწევა დაგეგმილი იყო 16 500 ბავშვისათვის, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა მოიაზრებოდა.

მიღწეული შუალედური შედეგები - დახმარება გაეწია 16870, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა იყო.

